# სახალხო გაზეთი

№ 1083 შაბათი, 4 იანვარი 1914 წ. № 1083

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდენი.

ხელის მოწერა და დახაზებდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



## გამართულია ხელის მოწერა 1914 წლისათვის

## ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „სახალხო გაზეთი"

წლიწადი მეხუთე — წელიწადი მეხუთე

1914 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა და გაზეთს ექნება

კვირაობით **სურათებიანი დამატება** კვირაობით

**რ ე მ ი ა დ** 1914 წლის ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელის მომწერნი არიან, 1914 წლის განმავლობაში **მ ი ი ღ ე ბ ე ნ**

## ს ა მ ს წ ი გ ნ ს

**პირველი წიგნი** „ქართველი მწერლები", რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1. „უზეიჩვეცი მეფე" ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად **სანდრო შანშიაშვილისა.** „მიმქრალი შარავანდედი" ისტორიული რომანი ვ. ბარნოვისა და სხ.

**მეორე წიგნი** „უცხოეთის მწერლები", რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი", ტრაგედია შილერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

**მესამე წიგნი** **სამეცნიერო კრებული** ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

| გაზეთის ფასი | წლით | 11 თვით | 10 თვით | 9 თვით | 8 თვით | 7 თვით | 6 თვით | 5 თვით | 4 თვით | 3 თვით | 2 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში და მის გარეთ. . . . | 8 მ. 50 კ. | 8 მ. — „ | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 75 კ. | 6 მ. — „ | 5 მ. 25 კ. | 4 მ. 50 კ. | 3 მ. 75 კ. | 3 მ. — „ | 2 მ. 25 კ. | 1 მ. 50 კ. | — 75 კ. |
| საზღვარ-გარეთ. . . . . . . | 15 მ. — „ | 13 მ. 75 კ. | 12 მ. 50 კ. | 11 მ. 25 კ. | 10 მ. — „ | 8 მ. 75 კ. | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 25 კ. | 5 მ. — „ | 3 მ. 75 კ. | 2 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

ცალკე ნომერი ყველგან შაურად; დამატებიანი შვიდი კაპეიკად.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა. იმ ხელის მომწერმა, რომელიც **სამივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **სამი აბაზი**. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**ხელის მოწერის პირობები:** 1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კაპ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისათანავე 3 მან., 1 აპრილამდე 2 მ., ... თიბათვემდე 2 მან., 1 ენკენისთვემდე 1 მან. 50 კაპ., 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიციდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა გამართულია:** 1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-მდე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს. 2) ქ. შ. წ.-კ. გამავ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახ. ქუჩაზე.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ Груз. газ. „Сахалхо Газети" поч. ящ. 190.



## ტფილისის კერძო სამკურნალო

...ნედელის ქუჩა, ხაკურ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცილის სახტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

...სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

...მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| ...შინაგანი სნეულებანი | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი მ. მ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1. ს. **ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ...ქირურგ. სნეულებანი. | **მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ...ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ...ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1. **ფიდოროვი მ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ...ვენერიულ. სნეულებ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი მ. ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ...ყურის და ცხვირის. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$. |
| ...თვალის ავადმყ. | **მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$ |
| ...ნ. და ...ვრ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ... ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1486

## გორის პირველი კერძო

# სამკურნალო

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი მ. ზ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**მინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.**

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. წამლობა „606", „914". 1604



## 6 იანვარს 1914 წ.

ქართულ თეატრისა და ახალი კლუბის დარბაზებში გაიმართება

## ჩვეულებრივი

# თავად-აზნაურთა

# ბ ა ლ ი

დიასახლისები: სტატს დამა კნ. ელისაბედ ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისა, ანნა ალექსანდრეს ასული ამილახვრისა.

## ს ა ჯ ა რ ო ლ ე ქ ც ი ა

შაბათს, 4 იანვარს 1914 წ. პეტერბურგის პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის და ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორი ვ. ნ. სპერანსკი არტისტიულ საზოგადოების დარბაზში წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე:

## „დედაკაცის ბედის წერა"

დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ა ნ ო ნ ს ი: 10 იანვარს შესდგება მეორე საჯარო ლექცია პროფესორ ს პერანსკისა შემდეგ თემაზე: „ჩვენი დროის ფაუსტები და მეფისტოფელები". ბილეთები ღირს 50 კ. 2 მ. 50 კ. და ამ თავითვე იყიდება არტისტიულ საზოგადოების დარბაზში შესასვლელთან. 913

**1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ**

წელიწ. მეათე. **„ნაკადული"** წელიწ. მეათე.

(1914 წ. 1-ლ იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შესასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

უფროს წლოვანთათვის **24** წიგნი, მოზრდილთათვის **12** წიგნი.

36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები ილუსტრირებულია.

**საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:**

**„მინის ძმა და ციცინის მფრინველი მთები",**

(მრავალი სურათებით), გადმოკეთებული.

**ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.**

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარეთ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში: „ნაკადულის"** რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули", Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალიძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათუმში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო აბულდიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. სააკაშვილთან, **ალექსანდროპოლში**—ს. შალბურაშვილთან, **როსტოვში**—ნ. კლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ბავჭანიძესთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი გარჩევით დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი ნ. ნაკაშიძე. გამომც. თ-დ პ. თუმანიშვილი.



ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებული

## ქართული წარმოდგენების მმართველი წრის

# გამგეობა

უმორჩილესად სთხოვს ყველა

## იმ ინტელიგენტ სცენის მოყვარე ქალებს და ვაჟებს,

ვისაც სურვილი აქვს სცენაზე მოღვაწეობისა, გაუწიონ დახმარება აღნიშნულ წრეს და მიიღონ მონაწილეობა წარმოდგენის მართვის საქმეში. გამგეობა დარწმუნებულია, მის მოწოდებას უყურადღებოდ არ დასტოვებენ და მსურველნი ჩაეწერებიან წრის კანტორაში, მიხეილის პროსპექტი № 102, **რეჟისორ ალ. წუწუნავასთან,** ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან. 1652

საზღვარ-გარეთის კიმონო

## რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

**ს ა ქ ა რ ხ ნ ო მ ა ღ ა ზ ი ა მ**

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

**ახლად მიღებულია.** ძლიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან. აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კ ი მ ო ნ ო — კიმონო — კიმონო

## ა ხ ა ლ კ ლ უ ბ თ ა ნ

# არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირექტორ **ს. ი. პ რ ე ს მ ა ნ თ ა ნ.**

ყოველ დღე დილით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

**გამოვიდა და იყიდება ნოტებზე გადაღებული ლექსი.**

# გენაცვალე

ი. სარაჯიშვილის და ი. გრიშაშვილის სურათებით. ფასი 25 კაპ.

**ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა** **გ. მეჯრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა— **ჭლექი**— და გულისა. შეთანაზრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა.** ხელოვნური პნევმოტორაქსი. **რენტგენის ელვისებური სხივებით ფილტვებისა და გულის გასინჯვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ. 9—10 სათ. **ღარიბებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516

**ელექტრონის, რენტგენის სინათლის**

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**საწოლი ოთახებით**

# მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგ. № 53.

**დღეს, 4 იანვ.,** 1914 წ., ქართ. დრ. საზ. გ. დასის მიერ წარმოდგ. იქნება მეხუთედ ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალ. პიესა ი. გედევანიშვილისა

# სინათლე,

ზღაპარი ფერია 3 მოქ. 7 სურათად.

ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაციები გ. ნადგბოვის მიერ. ტანთსაცმელები და ბუტაფორია დამზადებულია თეატრის საკუთარ სახელოსნოებში. ხორო ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისაა. ორკესტრი „ახალი კლუბისა“ **ბ-ნ პრესმანის** ლოტბარობით. ბალეტი—**ბ-ნ თეერლინკის** ხელმძღვანელობით. ✦ **მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

**დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს.** ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**

ანონსი: მზადდ. წარმოსადგ.: ჩრდილოეთის გმირნი, დონ-კარლოსი, ამოცანა, ედიპე კოლონაში და სხვა. ადმ. ქართ. დრ. საზ. გამგ. 1006

---

## სახაზინო თეატრი

ამხანაგობის ანტეპრიზა **ივანე ფალიაშვილის** მეთაურობით

სამშაბათს, 7 იანვარს, 1914 წ.

# ივანე სარაჯიშვილის სახსენებლად

დადგმული იქნება ბიზეს ოპერა:

## „მარგალიტის მაძიებელნი“.

დაწვრილებით აფიშებში. 1008

---

სპეციალური

## წიგნის მაღაზია

# პ. ოცხელისა და ამხ.

ქუთაისში.

**ი ყ ი დ ე ბ ა**

**ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი,**

გეოგრაფიული კარტები, სურათები თვალსაჩინო სწავლისათვის, მწერლების სურათებით, **მოძრავი ანბანი** და სხვა.

პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და ბიბლიოთეკებს **ეძლევათ დიდი შეღავათი.**

---

სპეციალური

## საკანცელარიო მაღაზია

# დ. ოცხელისა და ამხ.

ქუთაისში.

**ი ყ ი დ ე ბ ა** ყოველგვარი **საკანცელარიო და სასწავლო ნივთი;**

ახლად მიღებულია არითმეტიკული „ჩოთქები“ და ყუთები, სალებავები, საუკეთესო რვეულები, ყოველგვარი ქაღალდი, კალენდრები, პორტფელები, კანტორის წიგნები ღ მრავალი სხ.

**ფასები მეტად ზომიერია** 1621

---

## პიტომნიკი

## ამერიკული ვაზის ლერწმისა

# თ-დ მ. რ. ერისთავისა

სოფ. კარალეთში გორის მაზრა.

იყიდება საუკეთესო ხარისხის ამერიკული ვაზის შტოები **რუპესტრისი.** მეტრიანი ათასი 13—14 მ. ზეგ-მიზომით, 12—13 მ. დაკვეთა შეიძლება თებერვლის გასვლამდის ამა 1914 წლ. ს. კარალეთში.

4 პატივისცემით **თ-დ მ. რ. ერისთავი.**

---

## ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

6 იანვარს, სათავად-აზნაურო ბალის გამო, რომელიც გამართული იქნება „ახალი კლუბისა“ და თეატრის დარბაზებში, „ახალი კლუბი“ დაკეტილი იქნება. 1007

---

# საბურთალოზე

**მშვენიერ ადგილას**

**ახლად** აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

---

# ექიმი

კბილისა პ. მ. მუმულია-კუხალაიშვილი

გადავიდა ქსენიევის ქუჩაზე № 7, სადაც ტფილისის კერძო სამკურნალოა მიხაილოვის პროსპექტისა და სასტუმრო ვიტცელის ახლო. იღებს დილით 9—2 საათ. საღ. 4—7 ს-მდე. 872

---

# ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო

## ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

---

# ექიმი

პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს $5^1/_2$ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

---

# ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ხ. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

**ზ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$ ს.

**ექ. ქალი ოთხელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

# წამლობა „606“-ით 1462

---

# ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

---

ქ. გ ო რ შ ი

# ექიმი

(დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი).

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

---

ე ქ ი მ ი

# ი. ზ. გაჩეჩილაძე

იღებს ავადმყოფებს, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. 916

---

# ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს სხვ... კრონიკ... განოთა, ათაშანგისა ... ავადმყ.: ეხსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102


# ყალბი პოზიცია

2.

ბევრი ენერგია დაიხარჯა იმის დასამტკიცებლად, რომ ჭეშმარიტი დემოკრატი შეუძლებელია ავტონომისტი იყოს. ბევრს, უეჭველია, ჯერ ისევ თვალწინ უდგას ის დრო, როდესაც საზოგადოდ ავტონომია ბურჟუაზიულ მოთხოვნილებად საღდებოდა ხალხში, დასელ მწერალთა წყალობით. თვით მარქსისტისთვისაც კი ავტონომია მეტის-მეტად აკრძალული ხილი იყო. ქურდულად თუ გვეტყოდა ყურში დასელი, რა ვქნა, ავტონომისტი ვარ, მაგრამ დისციპლინა მაიძულებს ჩუმად ვიყოვო.

თანდათან როგორც მუშები, ისე სხვები რწმუნდებიან, რომ კარგი მარქსისტი კარგი ავტონომისტიც შეიძლება იყოს. იყო დრო, როდესაც დასელები პირწმინდად უარჰყოფდნენ ეროვნულ საკითხს, მაგრამ იგი დრო ისტორიულ წარსულს ჩაჰბარდა. ამ ჟამად დასელებიც დარწმუნდნენ, რომ აბუჩად აგდება ეროვნული საკითხისა შეუძლებელია და მისი ასე თუ ისე გადაწყვეტა აუცილებლად საჭიროა. ცხოვრება თავისას მოითხოვდა. იდეა ავტონომიისა თანდათან პოპულიალური ხდება ხალხში; პოპულიალური ხდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ავტონომიის იდეას ავრცელებენ, არამედ იმიტომაც, რომ თვით რეალური სინამდვილე უკარნახებს ეროვნული საკითხის ამნაირად გადაწყვეტას. თვით ცხოვრება უმტკიცებს ხალხს, რომ ავტონომია ხალხის გასაყვლეფად მოგონილი დაწესებულება კი არ არის, არამედ ისეთი რამ, რაც თვით ხალხის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ამისთანა პირობებში დაიწყო ახალი გზების ძებნა დასელთა შორის. მკითხველს უეჭველია ახსოვს, რომ ჯერ-ჯერობით დასელთა მწერლებმა ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას ჩასჭიდეს ხელი და იგი დაუპირისპირეს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას. ჩვენ ამ ჟამად ეროვნულ-კულტურული ავტონომიის კრიტიკას არ ვწერთ; ჩვენ გვინდა სულ სხვა გარემოებაზე მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას, როგორც ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტ საშუალებას, მხოლოდ ისეთი ერები თხოულობენ, რომელთაც ტერიტორია არა აქვთ. ამიტომ ეროვნულ-კულტურული ავტონომია არც ერთ ისეთს ერში არ არის პოპიალური, რომელსაც ტერიტორია აქვს. ყველგან, სადაც კი ავტონომიაზე ლაპარაკობენ, ჰგულისხმობენ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას. ამიტომ, სადაც კი ეროვნული საკითხი კონკრეტულად აღიძრა, ყველგან იგი აღიძრა, როგორც ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია. მოიგონეთ იგივე ირლანდია, კლასიკური ქვეყანა ავტონომისტურ მოძრაობისა. რა იქნებოდა ირლანდია, მას რომ პრაქტიკულად განსახორციელებელ ტერიტორიალურ ავტონომიის ნაცვლად ეცადა იმ დროისთვის, როდესაც ქიმერიული პროექტი ექსტერიტორიალურ ავტონომიისა ძირიან-ფესვიანად შესცვლიდა არა მარტო დამოკიდებულებას ირლანდიასა და ინგლისს შორის, არამედ სრულიად ახალ პრინციპებზე ააშენებდა მთელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. ისტორიული მაგალითები თუ ვისმესთვის შეიძლება ჭკუის სასწავლებლად გამოდგეს, უსათუოდ ცხადი გაჰხდება ყველასთვის, რომ შინაური ცხოვრების მოწესრიგება ამა თუ იმ ერისა უნდა გადასწყდეს იმ სახელმწიფოებრივ ფარგლებში, რომლებიც ისტორიულად შემუშავებულა. სახელმწიფო ისეთი ორგანიზაცია არ არის, რომ ერთბაშად, ამა თუ იმ პროექტის სურვილისამებრ, გარდაიქმნას და ახალს საფუძვლებზე აშენდეს. პრინციპი ექსტერიტორიალიზმისა ძირიან - ფესვიანად სცვლის სახელმწიფოს სტრუქტურას, სცვლის ისე, რანაირადაც თვით სოციალიზმიც კი არა სცვლის. როგორც სახელმწიფო, ისე სოციალიზმი ჰგულისხმობს ტერიტორიას; ის, ვინც ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში ჰშორდება ტერიტორიალურ პრინციპს, ლოღიკურ წინააღმდეგობაში ვარდება, რადგანაც ამით უარჰყოფს იმ პრინციპს, რომელზედაც შეიძლება აშენდეს მომავალი საზოგადოება. სახელმწიფოსაგან განყენებულად წარმოდგენილი ეროვნება მხოლოდ იდეიურად შეიძლება არსებობდეს. ფაქტიურად კი ეროვნება დაკავშირებულია როგორც ტერიტორიაზე, ისე სახელმწიფოზე.

ამიტომ იქ, სადაც ერის საკითხი პრაქტიკულად სწყდება, უსათუოდ მხედველობაში იღებენ მის ტერიტორიალურ ფიზიონომიას და ჰზრუნავენ მხოლოდ იმისთვის, რომ მოაწესრიგონ სახელმწიფოებრივი ფუნქციები ცენტრსა და ნაწილებს შორის. ამნაირადა სდგას საკითხი იმ ერებისა, რომლებმაც ან უკვე განახორციელეს თავიანთი იდეალი, ან განხორციელების გზას ადგანან.

ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, თუ როდისმე აღიძრა საქართველოს ეროვნული საკითხი, იგი აღიძრება როგორც ტერიტორიალური საკითხი. ამასა ჰგრძნობდნენ საუკეთესო წარმომადგენლები ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და დროისა და ქართველ ხალხის შესაფერ ეროვნულ პროგრამასაც ადგენდნენ. სულ უკანასკნელ ხანებში დაიბადა საქართველოს ეროვნული საკითხი, დაიბადა ისტორიულ განვითარების პროცესში. შემუშავდა პროგრამა არა მხოლოდ საზოგადოდ ეროვნული საკითხის გადაწყვეტისა, არამედ უპირველესად ყოვლისა დაიბადა საქართველოს საკითხი. ორნაირი გზა აქვს გასავლელი ამ საკითხს: მან უნდა თავის გარშემო შემოიკრიბოს ყველა ჯან-საღი ელემენტი ქართველი საზოგადოებისა და ქართველი ხალხისა. იგი უნდა საერთო მოთხოვნილებად გადაიქცეს. ამასთანავე ერთად იგი პოპულიარული უნდა გაჰხდეს იმ ერებში, რომლებთანაც ჩვენ, ისტორიული ჩარხის ტრიალის გამო, დაკავშირებულნი ვართ საერთო სახელმწიფოებრივ ცხოვრებით.

საქართველოს ეროვნული საკითხი მხოლოდ ეხლა გამოდის რუსეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე. გაივლის ხანი და ორივე გასავლელი გზა უფრო ნათელი გაჰხდება; თვით პროცესი საქართველოს ეროვნული იდეის გავრცელებისა როგორც ქართველ ხალხში, ისე მის გარეშე გაღრმავდება და შინაარსიანი გაჰხდება.

ჩვენ იმდენად გულ-უბრყვილონი არა ვართ, რომ დიდი იმედები დავამყაროთ გარეშე ძალებზე, მაგრამ მაინც თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროგრესიული და დემოკრატიული ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა მეტის ყურადღებით მოეკიდება ჩვენს ბედს, თუ ჩვენ თვითონ გამოვიჩინეთ უნარი და სურვილი ეროვნული თავისუფლებისა.

რანაირ პოზიციას დაიჭერენ ამ საქმეში ქართველი დასელები? დღემდის ისეთი მდგომარეობა იყო შექმნილი, რომ დასელებისაგან მხოლოდ ერთი პასუხი იყო მოსალოდნელი: ძველებური, ნიჰილისტური უარყოფა საქართველოს განსაკუთრებული ინტერესებისა. დღეს, როდესაც ეს ნიჰილიზმი თვით დასელების მიერვე არის უარყოფილი, უეჭველია ახალ რამ პასუხს უნდა მოველოდეთ მათგან. დასელებიცა ჰგოდებენ, რომ ამა თუ იმ პასუხის გაცემა ეროვნულ საკითხზე აუცილებლად საჭიროა, რომ ერთხელაც არის დასელები პირისპირ წარუდგებიან საქართველოს საკითხს. ამას, ალბათ, კარგადა ჰგრძნობენ ჩვენი დასელები და წინდა-წინვე ემზადებიან ამ დროისთვის. ისინი ეროვნული ტერიტორიალურ ავტონომიას უპირისპირებენ ეროვნულ - კულტურულ ავტონომიას. მათის წარმოდგენით, ის ცარიელი ადგილი, რომელიც პროგრამაში გაჩნდა და რომელიც უსათუოდ ადრე თუ გვიან ეროვნულ-ტერიტორიალურმა ავტონომიამ უნდა დაიჭიროს, შეივსება ეროვნულ-კულტურული ავტონომიით. ადვილად შესაძლებელია დროებით ცარიელი ადგილი მართლაც შეივსოს, მაგრამ მალე გამოჩნდება, რომ ეს შევსება საკითხის ფალსიფიკაციაა. მაშინ დასელები იძულებულნი გახდებიან თავიდან დაიწყონ საქმე და ხელ-ახლად შეუდგნენ იმის ნგრევას, რის აშენებასაც, უეჭველია ბევრს ძალასა და ენერგიას მოახმარებენ. მაგრამ ეს მოჰხდება მაშინ, როდესაც მეორედ ყალბად დაჭერილი პოზიცია დიდს ზიანს მიაყენებს საქმეს. დიდი ვნება მოუტანა ქართველ ხალხის ეროვნულ გათვითცნობიერების საქმეს ძველმა ნიჰილისტურმა აზროვნებამ, მაგრამ უფრო დიდს ვნებას მოუტანენ საქმეს მაშინ, როდესაც საქართველოს საკითხი ასე თუ ისე კონკრეტულ სახეს მიიღებს და კონკრეტულად დაყენებულ საკითხს დასელები დაუპირისპირებენ ნაჩქარევად, საჩქაროდ შეთხზულ პროგრამას, რომელსაც სრულიად არავითარი ნიადაგი არ ექნება ქართველ ხალხში. თუ დასელებმა ხელმეორედ ყალბი პოზიცია დაიჭირეს, ამით მხოლოდ შორეულ დროისთვის გადასდებენ საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ საბოლოვოდ კი მაინც ვერ მოსპობენ. წარსულმა მაგალითმა დაგვიმტკიცა, რა ძნელია, როდესაც ასეთ საჭირბოროტო, საბედისწერო საკითხის გადაწყვეტის დროს შორსმჭვრეტელობას ვერ იჩენენ და ჯიუტად იცავენ ერთხელ მიღებულ პოზიციას, თუმცა იგი ყალბ პოზიციად კი მიაჩნიათ. როგორც დღეს გაჰხდნენ იძულებულნი ძველი გზა დაეგმოთ და ახალი გზის ძებნა დაეწყოთ, ისე მომავალში იძულებულნი გაჰხდებიან კვლავ დაუბრუნდნენ ეროვნულ საკითხს და კვლავ დაიწყონ ახალი გზის ძებნა.

მაგრამ ეს მოჰხდება მაშინ, როდესაც მეორედ ყალბად დაჭერილი პოზიცია თავის შედეგს გამოიღებს და კვლავ ახალ ზღუდეს აღმართავს ქართველი ხალხის წინაშე. ჩვენის აზრით, დასელთა შინაური ცხოვრებაში ამ ჟამად დიდი ცვლილება ჰხდება. ეროვნულ საკითხისადმი გაღვიძებული ინტერესი, მოვალეობა მშობელ ერის მომავლისადმი ვალდებულად ჰხდის იმ დასელებს, რომელნიც ჰგრძნობენ, რანაირ ახალ განსაცდელს უმზადებენ ზოგიერთი მწერლები ქართველ ხალხს, ასეთ დასელებს ვალდებულად ჰხდის ხმა აღიმაღლონ სწორედ დღეს, როდესაც დასელები ახალი გზის ძებნაში არიან. ერთხელ უარყოფილი პოზიციის ადგილი ახალმა პოზიციამ უნდა დაიჭიროს. ვაი იმას, ვინც შორსმჭვრეტელობას ვერ გამოიჩენს ამ კრიტიკულ მომენტში და, რაც უფრო ცუდია, იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა ვერ ექნება, რომ დროზე ხმა ამოიღოს და იხსნას ერი იმ ახალი განსაცდელისაგან, რომელშიაც ზოგიერთი პუბლიცისტი აგდებს.

დრო მაინც თავისას გაიტანს. ჯიუტობა მხოლოდ სრულიად უსარგებლო დაბრკოლებად გადაიქცევა იმ საქმეში, რომელიც დღეს არა ხვალ მაინც უნდა ასრულდეს.

**არ. ჯ—შვილი.**

# ქართული პრესა

გაზეთი „ერი“ საახალწლო ნომერში ეხება ჩვენი ცხოვრების მწვავე საკითხს ტერიტორიის შესახებ. გაზეთი აღნიშნავს წარსულ დროთა სიმწარეს, და შემდეგ ამბობს:

„დღეს თუმცა იარაღით არა, მაგრამ უფრო სასტიკად და ულმობელად ყოველის მხრით გარს შემოგვერტყმიან, განადგურებას გვიქადიან შინ და გარეთ, და ლამობენ ჩვენი ეროვნული ორგანიზმს დაშლას. ეს პროცესი ასი წლის წინად დაიწყო. ამ უკანასკნელ დროს გაძლიერებულის ენერგიით განავითარეს თავის მოქმედება. საქართველოს მოსასპობად მოქმედი ძალა დიდი და ძლიერია, მას ხელთ უპყრია უძლიერესი იარაღი—პოლიტიკური ბატონობა, სახელმწიფო ხაზინა. ოფიციალურად ამ პოლიტიკას კავკასიაში უმიწაწყლო რუსის გლეხების გადმოსახლების საქმე ეწოდება. ამ საქმეს ემსახურებიან ისეთი დაწესებულებანი, რომელთაც მასთან არავითარი პირდაპირი დამოკიდებულება არ აქვს: — სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილება და საგლეხო ბანკი. რუსეთში უკანასკნელის მოვალეობაა გლეხებს მიწა შეაძენინოს შეღავათიანი პირობებით. ჩვენშიც იძენს ეს ბანკი მიწებს, ხოლო არა ქართველი გლეხებისათვის. ამას დიუმატეთ ამ ბოლო დროს უმთავრესად სომხის კაპიტალისტების გაღვიძებული ინტერესი ქართველ მემამულეთა მიწებისადმი და მაშინ თვალწინ გადაგვეშლებათ ჩვენი ტერიტორიის დაკუწმაწების კი არა, მისი სრული დაკარგვის სურათი. უმთავრესად მიწა-წყალს გართმევს ის ძალა, რომლის წარმომადგენელმა ამ ასი წლის წინად აგვითქვა ტერიტორიის ხელშეუხებლობა და მთლიანობა. ჩვენ აქ ყურადღებას არ ვაქცევთ შევიწროებას სხვა და სხვა სფეროებში; არას ვიტყვით მასზე, რომ ქართველ კაცს დღეს საქართველოში ადგილი არ აქვს სახელმწიფო დაწესებულებებში; გავჩუმდებით ქართული ენისა და ეკლესიის დევნაზე, არა იმიტომ, რომ ესენი თავის თავად ყურადღების ღირსად არ მიგვაჩნდეს, რომ აქ უსამართლობას არ ვხედავდეთ... ყველა ამაზე ბევრი თქმულა, და ბევრიც ითქმება. დღეს ჩვენ განსაკუთრებით ტერიტორიაზე გვსურს ლაპარაკი, რადგან ყველაზე მეტი საფრთხე მამს მოელის. რუსეთის პოლიტიკა ახლო თუ შორეულ მომავალში იქნებ შეიცვალოს, ენა
და ეკლესია ...
სუფლად იარსებებს... მაგრ...
კარგული ტერიტორის დაბ...
კი შეუძლებელი იქნება. ჩვე...
გავთ ჩვენი ეროვნული არ...
მთავარ საფუძველს, ხელიდა...
ლება ისტორიული მიწა-წყალ...
შვიდობებით იმ მიდამოებს, ...
დასაცველად ქართველ ხალ...
ვალ საუკუნეთა მსვლელობა...
ხლი უღვრია, ურომლისოდ...
ნი ეროვნული ორგანიზმი ვე...
სებებს. ებრაელები ჩვენზე...
ჯერ უფრო ძლიერნი არიან...
ფლით კაპიტალს თითქმის...
ჰფლობენ. დიდი ხანია მათ...
ვილი აქვთ საკუთარი ტერ...
რიის შეძენისა, მაგრამ აქამდ...
თაც კი ვერ მოუხერხებიათ...
იცის, შემდეგ მოახერხებე...
არა. ჩვენ კიდევ დაგვრჩე...
მიწა-წყალი წაგვერთვა;
უნდა ვიარსებოთ, სად...
ფაროთ თავი! ნუთუ ცხა...
არის, რომ მაშინ ჩვენს არ...
ბას შავი ჯვარი დაესმება...
ლის იმედი გულში ჩავე...
ჩვენს მეზობელ სომხებს...
თავისი ძალა მიუმართავთ...
ტორიის შესაძენად, რადგან...
უტერიტორიო ერს მომავა...
აქვს. ჩვენ ჯერ ავად თუ კ...
გვაქვს და ვკარგავთ. საშინე...
შემაძრწუნებელი ჩვენი მ...
რეობა იმით არის, რომ არ...
ბობს შეგნება ამ უბედურ...
გამკლავებისა და ისე ვიღუ...
რომ ვერა ვგრძნობთ ამას,...
გაგვიგია, რა საფრთხე მოგვ...
პოლონეთში რუსეთის მთ...
კიდევ უფრო აშკარად სცდ...
პოლონეთის ტერიტორიის ...
ჩაგდებას. 63 წლის აჯანყებ...
მდეგ დიდძალი მამული ჩა...
თვეს ძალით ამათ თავად-აზნ...
ბას. დღეს მათ წინააღმდეგ...
კუთრებული კანონიც მოქმე...
ამ კანონის ძალით პოლონ...
ნება არ აქვს თავის სამშობ...
მამული შეიძინოს. მიუხედ...
ამისა მათ არავითარი საფრ...
მოელით. ისინი შესაფერ ...
მდგომობას უწევენ მთავრობ...
მედებას. მათში დიდია ერო...
შეგნება. ეს შეგნება ...
მტერთან გასამკლავებლად ...
საზოგადოებას. ამ პირობებში...
ძლევა შეუძლებელ ია. პოლო...
რო ბრწყინვალე მომავალი...
ამაში ყველა დარწმუნებულ...

* *
*

ამავე ტერიტორიის საკითხს ...
„ხმა კახეთისა“:

„წინად მტერი უცბად შე...
ოდა საქართველოს, დაანგრ...
ციხე-სიმაგრეებს, დასწვავდა...
ლებს, აწიოკებდა მცხოვრებლ...
დაადებდა მათ ხარკს და ...
ვდებოდა მტრის თარეში. ...
ბური ჩვენი მტერი, არ ერ...
ჩვენ შინაურ საქმეებში, არ...
თმევდა ენას და არა გვტ...
მამულს. ამიტომ მაშინ ...
ქართველს იმედი ჰქონდა, რომ...
მოდენიმე ხნის ბატონობის ...
დეგ მისი მტერი სულს დაღ...
და მის ცხოვრებაში ისევ ...
რება და სიმშვიდე ჩამოვარდ...
და; ქართველ ხალხს კიდევ ...
ჰქონდა, რომ მოიკრეფდა ...
ლონეს, შეასწორებდა დანგრ...
ციხე-სიმაგრეებს და გაბატონ...
მტერს განდევნიდა.

მაგრამ, თუ გადავავლებთ თ...
ჩვენს ახლო წარსულს ცხოვრ...
და აწმყო მდგომარეობას, ...
სხვა სურათი გადაგვეშლება ...
წინ. მეცხრამეტე საუკუნის ...
წყისიდან ქართველი ერი ...
სხვა გვარ პირობებში ვარ...
თუმცა მის ცხოვრებაში მშ...
ბიანობა დამყარდება და მას...
ვინ აწიოკებს, მაგრამ ამ მშვ...
ბიანობით მიძინებული ქართვე...
ბი ვეღარა ხედავენ თუ რა ხ...
მის გარშემო. ჩვენი მიყუჩებ...
ცხოვრებით უხილავი მტრები ...
სანიშნავად სარგებლობენ ...
ჩნევლად გვითხრიან საძირკვ...
ჩვენს ცხოვრებაში ხდება მრა...
გვარი ცვლილებანი ისე მოხდ...
ბულად, თითქოს ჩვენთვის ეს ...
ლებელი საჭიროება იყვეს. ...
ნელა ღ შეუმჩნევლად გამოგვეც...
ხელიდან ყოველ გვარი თვით მო...
დების საშუალებანი—მოისპო ...
თული კანონი, ქართული სასა...
თლო, თვითმართველობა, სას...
ლებელი და სხვა და სხვა... ამას...
მოჰყვა ქართული ენის ყოვე...
მხრივი შევიწროება, დევნა ...
მისი გაქარწყლება.

ყველა ამასთან ერთად ...
მამულის დაქუცმაცება და ...
ხელში გადასვლა. ძლევა მოსი...
კაპიტალმა ჩვენშიაც შემოი...

...ავის მახვილი ხმალი და მუსრი ...ავლოთ ჩვენს მოუმზადებელს მეუნეებს. ჩვენი მამულის პატრონნი ...ულად მოუმზადებელნი შეხვდნენ ცხოვრების ახალ პირობებს ...ძველებური ფარხმალი სრულიად სუსტი გამოდგა ახალ ცხოვრების ძალებთან საბრძოლველად. ...იტომ მეცხრამეტე საუკუნიდან ...აწყებული აქნობამდის ყოველ ...ღე იპარება ჩვენი ხელიდან მამაპეული მამული და ჩვენი სისხლით მორწყულ მამულში სხვები ...არპაშობენ. თუმცა ჩვენ ეხლა ...ულოთ არა გვაქვს საქირო ციფრები იმის შესახებ, თუ რაოდა ნაწილი დარჩა ჩვენი ტერიტორიისა ჩვენ ხელში, მაინც ყველას შეუძლიან წარმოიდგინოს საზარელი ...ურათი ჩვენი ტერიტორიის დაუცემლებისა.

...აი, ასეთ საზარელ სურათს წარმოადგენს ჩვენი აწმყო მდგომარეობა. ჩვენ კი ჯერაც ვერ გამოვრკვეულვართ კარგად სადამას ...ილს. ზოგი ჩვენგანი გულგრილად შესცქერის ჩვენს დაქვეითებას და ჩვენი ტერიტორიის დაცემას; ზოგს კი თუმცა გული ეწვის, მაგრამ ნამდვილი თანამედროვე საბრძოლველი იარაღი აწმყო მდგომარეობის წინააღმდეგ ვერ გამოუძებნია და გაშწარებული ...მარტო მუქარას უთვლის კარზე მომდგარ მტრებს."

# ...ხალი ამბავი

**ტფილისი**

✦ საქართველოს ეგზარხოსმა სინოდის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა მცხეთის ტაძრის განახლებლად 100,000 მან. გადასდოს.

✦ **წესიერი დასვენება.** გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის ...მგეობას, რათა ჩქარა შეადგინოს ...ხელოსნო დაწესებულებებში მოსამსახურეთა წესიერ დასვენების პროექტი და მას დასამტკიცებლად წარუდგინოს.

✦ „ნოვია ვრემია"-ში მენშიკოვი აღშფოთებულია სახალხო განათლების მოღვაწეთა კრებით და, სხვათა შორის სწერს: „არა რუსთა ...ცია ასეთი დადგენილება მიიღო: კავკასიის პირველ დაწყებით სკოლებში სწავლა უნდა სწარმოებდეს ქართულსა და სომხურ ენაზე, სკოლის პროგრამაში უნდა შეიტანონ ...მშობლო ქვეყნის მწერლობა, საქართველოსა და სომხეთის ისტორია. ტფილისში უნდა დაარსდეს, სადაც უნდა იქონიონ უნივერსიტეტი, კავკასიის შესასწავლის კათედრა.

✦ **მსახიობ ქ. ყიფიანის** საიუბილეო კომიტეტმა ბარათები დაუგზავნა სხვა და სხვა დაწესებულებასა და საზოგადოებასა და სთხოვა, დროზე ...ცნობონ კომიტეტს, როგორის სახით მიიღებენ მონაწილეობას მომავალ იუბილეში, რომელიც დანიშნულია 29 იანვრისთვის. იუბილეს პროგრამა ამ დღეებში გამოქვეყნდება.

✦ **პოლიტეხნიკუმი.** მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის სატეხნიკო კომისიას 31 დეკემბერს კრება ჰქონდა ვარშავიდან მოწვეულ ინჟინრის ბ. ს. როგუისკის მონაწილეობით. ინჟინერმა როგუისკიმ, რომელმაც წინა დღეებში დაათვალიერა საპოლიტეხნიკუმო ადგილი და პოლიტეხნიკუმის პროექტი გადასინჯა, სატეხნიკო კომისიის შესაფერი რჩევა-დარიგება მისცა.

✦ **ქალაქის ხარჯთაღრიცხვის** განსახილველად დანიშნული კრება ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა 2 იანვარს არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

✦ როგორც გადმოგვცეს ძმ. ესიკოვსკების ცირკის გამგე ხუნდაძეს ძმ. კუნდუროვებისაგან უქირავნია ის ადგილი, სადაც ეხლა ესიკოვსკების ცირკია, ფ. ა. იუპატოვის ცირკისათვის, რომელიც სააღდგომოდ დაიწყებს მოქმედებას.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **მომხმარებელი საზოგადოება „მეურნე".** თ-დმა ა. ა. ვაჩნაძემ, ე. რ. გაბაშვილმა, თ-დმა ს. რ. ვახვახიშვილმა, თ-დმა დ. ვ. ვაჩნაძემ და ...თ. ჟორდანიამ გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რათა ნება დართოს მათ, დაარსონ ტფილისში მომხმარებელი საზოგადოება სახელად „მეურნე", რომლის მიზანიც იქნება თვის წევრებს იაფად მიაწოდოს პირველ საქიროების საგნები.

✦ **ქ. შ. წ. კითხვის გამავრც. საზოგადოების** ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვებ..ს მომწყობ კომისიის დღეს მეორე კრება ექნება.

## სასამართლო.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესიები** მიმდინარე იანვარში შემდეგს ქალაქებში გაარჩევენ სისხლის სამართლის საქმეებს: გორში—13-დან 18-დე, სიღნაღში—14-დან 20-დე, თელავში—24-დან 30-დე და შულავერში—25-დან 31-დე.

**შეცდომების გასწორება.**

ჩვენი გაზეთის ახალი წლის ნომერში, ანგარიშში: „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების" შესახებ დაბეჭდილი იყო: წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა ერთი საზოგადო წლიური კრება ხალხის თანადასწრებით, რომელზედაც წაკითხული იყო რამდენიმე მეტად საყურადღებო მოხსენება და 16 ჩვეულებრივი საბჭოს კრება". უნდა იყოს: „წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა ერთი საზოგადო წლიური კრება და 7 ჩვეულებრივი საზოგადო კრება (სულ რვა), რომელზედაც წაკითხული იყო მეტად საყურადღებო მოხსენებ ბ" და სხვ.

ამავე ნომერში ანგარიშში „თეატრი და ხელოვნება 1913 წ." შემთხვევით არაფერი იყო ნათქვამი კომპოზიტორ **ნ. სულხანიშვილის** შესახებ. ამ დროს კი 1913 წელს მან ბევრი საყურადღებო საქმე შეასრულა. აუარებელი ნამდვილი ხალხური მასალა შეჰკრიბა; რამდენიმე კონცერტი გაჰმართა, რომელთა შესრულებამ ხათლად დაგვიმტკიცა, რომ ნ. სულხანიშვილი კარგად იცნობს ხალხს და მისი ნაწარმოებნი ხალხის გულიდან ამონაკვნესი ჰანგებია.

# ქართული საღამო კავკავში.

26 დეკემბერს კავკავის სკოლის შენობაში გაიმართა ტრადიციული ქართული საღამო. თითქმის სკოლის დაარსებიდანვე ეს საღამო ყოველწლივ ამ რიცხვში იმართება ხოლმე, ამისათვისაც ამ საღამოს კავკაველი ქართველები დიდ დღესასწაულისავით ელიან. არც რაიმე ხარჯს ერიდება და ხალისიანად ხარჯავს თავის მონაგებს ამ საღამოსთვის. ყველა ცოტათ თუ ბევრად შეძლებულს ოჯახს გამგეობა შეაწერს ხოლმე სანოვაგეს: შემწვარს ინდოურს, ცივათ ქათმებს, ზუთხს, ხიზილალას, ღოშს, ხილს და სხ. ყველა სიამოვნებით ასრულებს გამგეობის განკარგულებას. ყოველი ღვინით მოვაჭრე ჰგზავნის უფასოდ საღამოსათვის თითო ვედრო ღვინოს. ამას დაუმატეთ ბილეთების სიძვირე 1 მ. 40 კ. 4 მანეთამდე და ადვილად წარმოიდგენთ რა დიდ ხარჯს ეწევა ყოველი ქართველი ამ საღამოსთვის. მიუხედავად ამისა ყველა თავის წმინდა მოვალეობადა სთვლის უსათუოდ დაესწროს საღამოს ბ მონაწილეობა მიიღოს საერთო დღესასწაულში. ამისათვისაც ბევრს ქართველ მანდილოსანს დაინახავთ ამ საღამოზე ძუძუ-მწოვარა და ხელში აყვანილი პატარა ბავშვებით. გამგეობა ადრევე შეუდგება ხოლმე საღამოს მოწყობის თადარიგს, რომ ღირსეულად შეხვდეს ხალხის. მოლოდინს. საღამოს ერთი კვირის წინად გამგეობის ყველა წევრები აქ ატარებენ მთელ დღეს. აქვეა მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტები, ვაჟები ახალგაზრდა და ქალარა შერეულნი. ადგილობრივი ინტელიგენცია, ყველა ფუსფუსებს, შრომობს, ზოგი სკამებს ეზიდება, ზოგი მაგიდებს, ჭურჭელს, ზოგი ჩაქუჩით ხელში მუშაობს, ზოგი კიბეზე ასულა და კედლებზე სურათებს ან ხალიჩებს ჰკიდებს, ზოგს გრძელი ცოცხი უჭირავს და კედელს ასუფთავებს. ოთახებში ერთ ჯგუფს რეპეტიცია აქვთ, პიესას ამზადებენ საღამოსათვის, მეორე ოთახიდან სიმღერის ხმა მოისმის, საკონცერტოდ ემზადებიან. ზოგი მანდილოსანი ამ დროს ქალაქში დარბის, ნაცნობებში კრეფას ნივთებს საღამოზე გასამართავ ბაზრისათვის. შობას და მეორე დღე ხომ სიცოცხლე სდუღს და გადმოდის სკოლაში.

26-სისათვის მოირთო და მოიკაზმა სკოლის ოთახები, დარბაზი: სადღესასწაულო სახე მიიღეს. ექვსი საათიდგანვე იწყო ხალხმა მოსვლა საღამოზე. დიდძალი ხალხი მოაწყდა, ბუნებაც ხელს უწყობდა, თბილი და მშრალი ღამე იყო, მომეტებული უკალოშოდ და შემოდგომის ტანისამოსით მოვიდნენ. სრული გაბადრული მთვარესამღურად კაშკაშებდა.

ყველაზე საინტერესო საღამოს პროგრამაში იყო კონცერტი და დივერტისმენტი. ხოროს მოსამზადებლად თბილისიდგან მოიწვიეს კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი. ყველა მოუთმენლად ელოდდა კონცერტის დაწყებას. აიხადა, მეორე განყოფილების შემდეგ, ფარდა და სცენაზე მწყობრად გამოვიდენ მომღერლები, დაეწყვნენ ლამაზად ჯგუფჯგუფად. ბოლოს გამოვიდა თვით კომპოზიტორიც, ხალხი ტაშის ცემით მიეგება. იმღერეს ხუთი სიმღერა, ოთხი თავისი და ერთიც არაყიშვილისა (შოთა რუსთაველი). იმღერეს ჯერ „სამშობლო ხევსურისა". ჰყოფილხართ მკითხველო ძალიან მაღალ მთებს შორის, ხომ გაგიგონიათ, თქვენ მიერ მაღლა ხმა შეძახილს, როგორ გუგუნით და ქექა-ქუხილით იმეორებს კლდეები, ამ გამოძახილს იქით სხვა კლდეები იმეორებენ, მთა გუგუნებს, სჭექს და ბოლოს ნელ-ნელა წყნარდება მისწყდება ხმა. სწორედ ასეთია სიმღერა „სამშობლო ხევსურისა". ხევსური ზევიდან ამაყად გადმოიძახის „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს" „არ გავცვლი სალსა კლდეებსა". სალი კლდეებიც არამც თუ ბანს აძლევენ ხევსურს, გუგუნებენ და ქექა-ქუხილით იმეორებენ ხევსურის გადაძახილს, მერე მიწყნარდებიან, მთის კალთებზე ტყის შრიალით იქცევა და ბარში ნაზი ნიავსავით, ნელის რყევით ჰქრება.

მეორეთ იმღერეს „გუთნური" ეს სიმღერა-დეკლამაციაა, რიჟრაჟია. ღამის მეხრემ მორეკა საქონელი. გუთნის დედას და მეხრეებს თავი მოუყრიათ ალოზე. შაბამს შვიდეულელი ხარ-კამეჩი. გაიჭიმა გუთნეული. დაჰკრა სიომ და მოისმა ტყის შრიალი, თითქო იძახის დაუჯექ ბიჭო და-უ-უ-უ-უ ჯ-ქ. მეხრეები მარდათ შესხდებიან უღელზე. გუთნის დედამ ახსენა ღმერთი და გაამხნევა: „აი დაილოცე ხარო და კაცო დაილოცე. სიმღერა უთხარით ბიჭებო სიმღერა". დაიწყო მძიმე ჯაფა-ხვნა. უფროსმა მეხრემ დასძახა ოროველა, მოსთქვამს ნაღვლიანად გლეხი კაცის მძიმე ხვედრს და უიღბლობას: „ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ, წილათ გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ, ერთგულათ ვჭიმოთ ჰაპანი ჩვენი უსიხარულოთ დავლიოთ დღენი, ჰე, ჰე"... ამ მოთქმას გარემო ბუნებაც ხმას აძლევს, ისიც ღიღინებს, მოსთქვას, ნიავს შორს მიაქვს ეს გულსაკლავი ღიღინი. ლომა კამეჩიც ფიქრებში წავიდა და მძიმეთ ზანტათ მიაბიჯებს. ამ დროს გაისმა პატარა მეხრის წკრიალა გამამხნევებელი ხმა: „გაიწი ხარო, გაიწი, ბოლოში გავეღით, ცოტაღაა, ლაბავ, გენაცვალე ცოტა, ჰაი ტა-ტა-ტა-ტა, ჭიკჭიკებს პატარა მეხრე. ამ ხმით სხვა მეხრეებიც გამოერკვევიან ფიქრებიდან და სახრის ქნევით დაუწყებენ საქონელს გამხნევებას. ასეთს მთლიან სურათს წარმოგვიდგენთ სიმღერა-დეკლამაცია „გუთნური" გულს ღრმათ ჰხვდება და ყრუანტელს ჰგვრის ადამიანს. „ორატორია" ჩვენებური რაჭული მესტვირულია.

ლამაზად და ხმა ტკბილად მისდევს ხორო მესტვირის მოთქმას, თითქოს სტვირის თვლებს აყოლებს თითებსაო.

„მაშ გამარჯვება ტკბილო 'იცოცხლევ" ეს სიმღერა კახური გრძელი მრავალ-ჟამიერის ჩართული და სუფრულია შეერთებული. სალხინო და მამაცური სიმღერაა. სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ რომ ზოგიერთი სიმღერები სუსტად შეასრულეს. რეპეტიციებზე უკეთესად გამოდიოდა. ეს იმითი აიხსნება, რომ რეპეტიციებზე დაიღალნენ ისედაც სუსტი ხმები. თურმე დღეში ასეთი რთული სიმღერების მომზადება სწორედ საოცარია. კომპოზიტორმა სასწაულებრივი ძალა გამოიჩინა და შეუძლებელი შესძლო: ახლად შემდგარ ხოროს შეასწავლა მოკლე ხანში ასეთი რთული და ძნელი სიმღერები. საღამოთი დიდებთან მეცადინეობდა, დილით სკოლის პატარა ბავშვებთან. შეადგინა პატარა ხორო, შეასწავლა და სასიამოვნოთ აგალობებდა რამდენიმე საეკლესიო საგალობლებს.

დიდი მადლი ყოფილა ჩვენი ეროვნული სიმღერა-გალობისა ბ. სულხანიშვილი და დიდ განძსაც შეიტანს ჩვენს მუსიკის განვითარებაში. ამისი თავდები ისიც არის, რომ ბ. სულხანიშვილი შეუპოვარი შრომის მოყვარეა, რაც ფრიად სანუგეშოა ჩვენთვის.

დივერტისმენტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო ახალგაზრდა მგოსანი ი. გრიშაშვილი. მგოსანმა თავის მოხდენილი კითხვით, ნიჭიერი ლექსებით აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ი. გრიშაშვილი ხალასი ნიჭია და დაუშრეტელი ზღვა მხატვრული ფორმების შემოქმედებისა. მარტო სიყვარული, ტრფობა, კოცნა, გენაცვალოთ გამიგონია საყვედური გრიშაშვილზე. განა ცოტაა ეს? სიყვარულმა არ გადალატარა ათასი მთა და ბარი, გადააქცია გაუვალი ტყე და ადგილები, გაატოპინა ზღვა და აალებინა ქაჯთა ციხე ტარიელს. ჯადოსნური და დიდი გრძნობაა სიყვარული და ტრფიალი. სიტურფე, სინარნარე, სიმშვენიერეს ქალისას დიდი გავლენა აქვს ადამიანზე, მის გავლენას თანაბარი ძალა აქვს ცხოვრებით გამაძღარ ნებიერ ადამიანზე, ხელებ დაბეგვილ ქუჭყიან მუშაზე და ფარაჯაში გამოხვეულ გლეხზე. აბა ყური დაუგდეთ ჩვენი გლეხის სიმღერა-ლექსებს ქალის სიტურფეზე, რა ლამაზი სიტყვებით, ფაქიზი სურათებით ჰხატავს ქალის ვერხვივით რხევას, სინარნარეს, ბროლმარგალიტით სავსე ქალწულს გულმკერდს, გიშრის თმას, ცეცხლივით მწველ თვალებს, „ყელ-ყური ბროლით ალვსოდა, შიგ მოგრეოდა გიშერიო."

დანარჩენი განყოფილებებიც კარგად იქმნა შესრულებული. ბ. ივანიძემ ბევრი აცინა ხალხი რუსულად წაკითხულ კინტოურ კუპლეტებით. საღამომ კარგად ჩაიარა და კარგი შემოსავალიც იყო.

**გ. ნათაძე.**

# ულსტერის უნიონისტები

ულსტერი ირლანდიის ერთად-ერთი პროვინციაა, სადაც ინგლისელები და პროტესტანტები მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ (51 პროცენტს), დანარჩენ სამ პროვინციაში კი მათი რიცხვი უმნიშვნელოა. როგორც ვიცით, ინგლისის მთავრობა საუკუნეთა განმავლობაში ყოველგვარად სდევნიდა ირლანდიის ხალხს, ათასნაირ ხერხსა ხმარობდა მის გადასაგვარებლად და ამ მიზნით მრავალი ინგლისელი დაასახლა ირლანდიის კუნძულზე, რის წყალობითაც დღეს ინგლისელები ულსტერში მცხოვრებთა შესამჩნევ რიცხვს შეადგენენ. მაგრამ ვერავითარმა ზომებმა ვერ ჩააქრო ირლანდიის ხალხში თავისუფლებისადმი ლტოლვილება და აი საცაა იგი ეზიარება კიდეც ამ სანეტარო თავისუფლებას, რომელიც სამშობლო ქვეყნ..ს თვითმართველობაში გამოიხატება.

როგორც არა ერთხელ გვაუწყეს დეპეშებმა, ირლანდიის ავტონომია უნიონისტებს ლახვარივით დაესო გულზე და მოსვენება დაუკარგა. დავთარ-აბნეულებმა ისევ სისასტიკეს მიჰმართეს—ერთიან გავიჟლიტებით, მთელ ირლანდიას ამოვხოცავთ და ჰომრულს მაინც არ შემოვაღებინებთო. მაგრამ ასეთი აურ-ზაური დღეს ველარ გამოადგებათ, მუქარისა და აკლება-აოხრების სისტემა ინგლისის სახელმწიფოში დიდი ხანია ისტორიულ წარსულს ჩაჰბარდა.

ვინ არიან უნიონისტები? სანამ კითხვებს გავარჩევდეთ, ურიგო არ იქნება ორიოდე სიტყვით ავწეროთ ირლანდიის ავტონომიის იმ კანონ-პროექტის შინაარსი, რომელიც შარშან და შარშანწინ ინგლისის პარლამენტმა დიდის უმრავლესობით მიიღო.

1881 წ. გლადსტონის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტის შესახებ (ჰომრულის თაობაზე) აი რა სთქვა ჩემბერლენმა: „წამოყენებული ბილი ორ პრინციპისაგან შესდგება, რომლებსაც მე არსებითად ვსთვლი. პირველი პრინცი—ავტონომიაა, რომელსაც მე გულწრფელად თანაუგრძნობ, მეორე არსებობს იმ მეთოდში, რომლითაც ეს ავტონომია უნდა განხორციელდეს... ჩემის რწმენით ფედერატიული პრინციპები ერთად-ერთი გზაა, რომელზედაც შეთანხმდება დემოკრატიის მისწრაფებანი და თვით მთავრობის გამოცდილებაც". სწორედ ამ მოსაზრებით იხელმძღვანელა ასკვიტმა ახალ ბილის შედგენაში. ამ ბილის თანახმად, ირლანდიაში ორი პალატა არსდება: პარლამენტი და სენატი. ქვედა პალატაში იქნება 164 სახ. წარმომადგენელი, ზედა პალატაში—სენატის 40 წევრი. სენატი ჯერ რვა წლით ინიშნება საიმპერიო კაბინეტისაგან, შემდეგ კი, უკეთუ რომელიმე სენატორი სამსახურს თავს დაანებებს, მაშინ მის ნაცვლად ირლანდიის სამინისტრო დანიშნავს სხვა ახალ წევრს. ამ ორ პალატათა შორის უთანხმოების დროს, შეერთებულ სხდომაზე გადასწყვეტენ სადაო საკითხებს. იმპერიის პარლამენტი მთელ სახელმწიფოში უმაღლეს მმართველად ითვლება და საიმპერიო უფლებები ადგილობრივზე მაღლა სდგას. ირლანდიის პარლამენტს უფლება არა აქვს ისეთ საკითხების გადაწყვეტისა, რომლებიც შეეხება საზღვაო ტახტს, ომსა და ზავს, ელოტსა და არმიას, სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებას და სხვა. მთავარ აღმასრულებელ ძალად ირლანდიაში წინანდებურად ისევ მეფის მოადგილე ლორდი იქნება. მას უფლება ეძლევა საიმპერიო მთავრობის სახელით თავისი „ვეტო" დაადოს ყოველგვარ კ ნონ-პროექტს ან იგი განუსაზღვრელ დრომდე გადასდოს. იმპერიის პარლამენტს ყოველთვის შეუძლიან ირლანდიის პარლამენტის მიერ დადგენილი კანონ-პროექტი აკრძალოს ან შესცვალოს. იმპერიის პარლამენტი თავისთვის იტოვებს უფლებას კანტროლი გაუწიოს ირლანდიაში გადასახადთა აკრეფას, სახელმწიფო დაზღვევას სიბერისაგან, უბედურ შემთხვევებისაგან და სნეულობისაგან. ერთი წლის შემდეგ კი დაზღვევა სრულიად ირლანდიის ხელში გადავა. საქციზო და ფოსტა-ტელეგრაფის მართველობა თავიდანვე ირლანდიის ხელში გადადის. ექვსი წლის შემდეგ ჟანდარმერიაც მის გამგეობას დაუმორჩილდება. ამავე პარლამენტს უფლება ეძლევა ახალი გადასახადები დააწესოს და იმპერიის მიერ დადგენილი გადასახადები შესცვალოს.

ასეთი სახისა გახლავთ ეს ყოველმხრივ ფრთაშეკვეცილი რეფორმა, რომელსაც მაინც კიდევ რეაქციონური სუნი უდის სენატის სახით, რომლის წევრებიც მთავრობის მიერ ინიშნებიან. დიდ ბრიტანეთის დემოკრატიულმა ელემენტებმა კიდეც გაჰკიცხეს მთავრობა ასეთი რეაქციონურ წესის შემოღებისათვის ირლანდიაში. ინგლისის მთელი დემოკრატიული მშრომელი ხალხი მოწადინებულია ირლანდიელებს მიანიჭოს უფრო ფართე თვითმართველობა და ამით დააკმაყოფილოს მათი სამართლიანი მოთხოვნილება. ამ დროს გამოდის ულსტერში მოსახლე ინგლისელების ერთი ნაწილი (უნიონისტები) ედ. კარსონის მეთაურობით ბ სასტიკ წინააღმდეგობას უწევს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებას. რა ჰსურთ უნიონისტებს? რას წარმოადგენენ იგინი? რისთვის ამხედრდნენ ჰომრულის წინააღმდეგ? ამას ადვილად მიჰხვდებით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჰომრულის განხორციელებისათანავე ირლანდიაში უეჭველად დაემხობა მსხვილი მიწათმფლობელობა და ირლანდიის გლეხკაცობას აუსრულდება თავისი მრავალხნის ნატვრა საკუთარ მიწის შეძენისა.

დუბლინის უნივერსიტეტის წარმომადგენელს ედუარდ კარსონს რომ დავუჯეროთ, მთელი ულსტერი ჰომრულის წინაღმდეგი უნდა იყოს. მაგრამ ეს ასე როდია: 1901 წ. აღწერის თანხმად, ამ პროვინციის მცხოვრებთა მხოლოდ 51 პროცენტს შეადგენენ პროტესტანტები და ინგლისელები (ეს ორი სიტყვა ერთ და იმავე შემეცნებისაა), დანარჩენი კი ყველა კათოლიკე ირლანდიელია. ამის გარდა, პროტესტანტებშიაც კი ურევიან ჰომრულის მომხრენი. კარსონმა კარგად იცის, რომ ჰომრულის ვითომდა მავნებლობა ულსტერისათვის—ცარიელი სიტყვებია. მისი განზრახვა სულ სხვა რამ არის: ჰომრულის წინაღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ფარდაა, რომლის უკანაც ამოფარებულია რეაქციონერ კონსერვატორების მთელი ბანაკი და აქედან ყუმბარებს უშენს თავისს მტერს—სოციალიზმს და მუშათა ელემენტს. ამრიგად, ჰომრულისათვის ბრძოლა მარტო ნაციონალური არ არის, ეს არის აგრეთვე ბრძოლა დემოკრატიულ უფლებებისათვის ირლანდიაში. ამას ქვემოდ უფრო ნათლად დავინახავთ.

მართალია, თუმცა 1800 წლ. აქტით (act of union) ირლანდია გათანასწორებულ იქმნა საერთო საიმპერიო კანონმდებლობით და მისი პარლამენტი ლონდონისას შეუერთეს, მაგრამ ეს გათანასწორება მხოლოდ გარეგნულად მოხდა, მარტო ქაღალდზე. ნამდვილად კი ირლანდიას ერთი მუჭა ინგლისელ ლენდლორდთა გარნიზონი ბრძანებლობს, რომელიც ქ. დუბლინშია თავმოყრილი და რომელსაც Dublin Gastle ეწოდება (დუბლინის ციხე-კოშკი). ეს ოლიგარხია არამც თუ მარტო ადმინისტრაციაზე უფლობს, მას ექვემდებარება აგრეთვე იუსტიციაც. მოსამართლენი ყველანი პროტესტანტები და უნიონისტები არიან, პოლიციაც მათი ყურმოჭრილი ყმაა. ლენდლორდები აქ საუკუნეთა განმავლობაში ინგლის-ირლანდიელთა შორის სარწმუნოებრივ შუღლსა სთესდნენ. იგინი ყოველგვარ ხრიკებს ხმარობენ, რათა პროტესტანტები და კათოლიკენი ერთმანერთს გადაამტერონ, თვითონ კი ამღვრეულ წყალში ითევზაონ. მათ კარგად ...შეთვისებული ძველი ოინბაზური ხერხი **Divide et impera.** ახლა კი ცხადია, თუ რად ემყარება ლენდლორდთა ოლიგარხია ულსტერს ჰომრულის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. იმიტომ რომ ეს ერთად ერთი პროვინციაა, რომლის მცხოვრებთა 51% პროტესტანტები შეადგენენ და აქვე ამ ოლიგარხიას საკმაოდ ბლომად აქვს დათესილი მცხოვრებთა შორის სარწმუნოებრივი ღვარძლი და მტრობა. აი სწორედ აქ ჰმარხია ძაღლის თავი. ამით სარგებლობს ლენდლორდთა გარნიზონი და იერიში მიაქვს ასკვიტის სამინისტროზე და მის ზურგს უკან მდგომ მუშათა კლასზე.

შარშან წინ აპრილში, როდესაც ინგლისის პარლამენტმა დიდის უმრავლესობით მიიღო ბილი ირლანდიის ავტონომიისა მთელი ულსტერის უნიონისტები ამხედრდნენ მის წინააღმდეგ და დღესაც არა სცხრებიან. კარსონი კიდეც აპირებს ულსტერში „საკუთარი მართველობა" დააარსოს. რასაკვირველია,—ამბობს იგი,—იგი უკანონო მართველობა იქნება... მაგრამ ინგლისის მთავრობა ვერ გაჰბედავს ხელი შეგვიშალოს. ვერ გაჰბედავს, რადგანაც იცის, რომ თქვენ (უნიონისტები) ამის ნებას არ მისცემთო.

ინგლისის მშრომელი ხალხის დემოკრატიულ ელემენტებს კი ირლანდიის ავტონომიის საკითხის ფართედ გადაწყვეტა თავის სავალდებულო საგნად აქვს დასახული.

ულსტერის უნიონისტები ჰკარგავენ სხვა და სხვა მოხელეობის თბილ ადგილებს და ზოგიერთ უპირატესობებსაც.

**ბაგრატ ბეთანელი.**

# მოგონება

**(ანტონ ფურცელაძის ხსოვნას).**

ახლად განსვენებულს საზოგადო მოღვაწეს და მწერალს ანტონ ფურცელაძეს ოცდა თხუთმეტი—(თექვსმეტი) წლის წინად, როგორც იტყვიან, ენამ უყივლა, რომ ლუკა რაზიკაშვილს (—ვაჟა-ფშაველას—) ჩვენ მწერლობაში დაეჭირა ისეთივე ადგილი, როგორც ილიას. ჩვენი სასიქადულ ო მგოსანი ვაჟა-ფშაველა ჯერ ბავში იყო, ფშავლის ბიჭი, თოთხმეტი-თხუთმეტი წლისა და მას ბლომად ჰქონდა თავისი ლექსები. ვინ არ იცნობდა ანტონ ფურცელაძეს, ვის არ გაეგო მისი სახელი: „ყმაწვილო, იყავ უცვლელად ერთგული შენის, ქვეყნისა: იქა ხარ დაბადებული და იქვე ჩახვალ. საფლავსა!" ვისწავლეთ კითხვა და ანტონის სახელიც ვიცოდით, არ გვენახა, მაგრამ მივარდნილ ადგილსაც კი გავრცელებული იყო მისი სახელი; ვისთვის და არ იყო მისი კარი ღია: მასთან შეეძლო მისვლა ყველას; იგი მასწავლებელი ახალ თაობისა, მოწინავეურე პირებისა. მე და ლუკა რაზიკაშვილიც მივედით ანტონთან; მიზეზი ჩვენი მისვლისა შემდეგი იყო: გამოსაკვები თავისა გვჭირდებოდა; ლუკას უთხარი: ლექსები ხო გაქვს დაწერილი, კიდევ დაწერე, წაუღოთ ანტონს გავაშინჯოთ და თუ მოიწონა, ვისმე დავაბეჭდინოთ სანახევროდ. ეს აზრი მოეწონა ჩემ ამხანაგს ლუკას, მაგრამ ცოტა არ იყო სცხვენოდა თავი გამოეჩინა, როგორც მწერალს ლექსებისა; მაინც გავაბედვინე და წავედით ანტონთან. ლუკამ წამოიღო თავისი რვეული, რომელშიაც იყო, როგორც მახსოვს, თხუთმეტი ლექსი, ამ რვეულს ზევიდან ჰქონდა შემდეგი წარწერა; „ლექსები შეთხზული ლუკა რაზიკაშვილისა".

შევედით ანტონთან, ღიმილით მიგვიღო, გამოგვკითხა ვინაობა, მიზეზი ჩვენი მისვლისა და ლუკამ მიაწოდა თავისი რვეული: ანტონმა იქვე ჩვენთანვე გადაათვალიერა რვეული, წაიკითხა რამდენიმე ლექსი, გვაჩუქა ორ-ორიოდ სამი ქართული წიგნი და გვითხრა, მივსულიყავით მეორე დღეს, მინამ წავიკითხავდი სუყველა ლექსებს. ჩვენს სიხარულს სამძღვარი არა ჰქონდა, რო ანტონი გველაპარაკა ჩვენ, სოფლიდან ჩამოსულ ბიჭებს. მეორე დღეს დანიშნულ დროზე მივედით; ანტონმა თავზე ხელი დაადო და უთხრა ლუკას: „აბა შამამხედე, შენ კაი ვაჟა ჰყოფილხარო!"-ო. დიდი ხანი გველაპარაკა, ზოგ-ზოგ ლექსების შინაარსზედ თქო ძაან კარგიაო, მომეწონაო და სხვა. დაუბრუნა ლუკას რვეული და ზევიდან წარწერაზე წაეშალა წითელი მელნით სიტყვა „შეთხზული" და გაეშო მარტო: ლექსები ლუკა რაზიკაშვილისა. თანაც უთხრა: ეს წარწერაც კმარაო და როცა გახდები ისეთი პოეტი, აი როგორც ილია ჭავჭავაძე, მაშინ დააწერე ხოლ-

მე შენს ლექსებს „შეთხზული" ლუკა რაზიკაშვილისა; ეს ცოტა არ იყო არ ეამა ჩემ ლუკას, და როცა კარში გამოვედით, მეც რაღაც ღმერთი გამიწყრა დაცინვით უთხარი: აბა მართლაც, ეგრე რო გააპრტყელე წარწერა რომელი გამოჩენილი პოეტი ბრძანდები მეთქი; ამაზედ პასუხად ამხანაგურად წამიქიმუნჯა.

აი გამართლდა ანტონ ფურცელაძის სიტყვები და ის პატარა ლუკა რაზიკაშვი — ეხლა ვაჟა-ფშაველა, ჩვენი დიდებაა.

ს. ანდრიევი.

## მოწერილი ამბები

**ს. პატარძეული** (ივრის ხეობა). ამ ბოლო ხანს ძალიან გავრცელდა წვრილმანი ქურდობა და ხსნა არსაიდან არის. ამ დღეებში მოჰპარეს მუჩიურს ღამე 16 ქათამი, სამი ინდოური, ერთი წყვილი ბატი. მღ. კოზმოვს სამი გასუქებული ინდოური ერთი მამალი ინდოური—მუნჯს გიგას; ერთი ინდაური ზუკაკიშვილს ზაქარას და ერთი ინდაურიც ვანო ზუკაკიშვილს. ბერთუბანშიც დაიპარეს ქათმები და ინდოურები. კარგს იზამს ბოქაული და მაზრის უფროსი მიაქციოს ყურადღება თორემ წვრილ ფეხიდან მსხვილ ფეხზე გადავა თოვლი დაიწყო დღეს.

ი. გულისაშვილი.

## სხვა და სხვა ამბავი

### 150,000 ფრან. ღირებული მსხლის ხე.

ქვეყანაზე უძვირფასესი მსხლის ხე თურმე ერთს კალიფორნიელს (ამერიკა) ფერმერს ეკუთვნის. ერთი ფრანგული გაზეთის ცნობით, ხსენებული მსხლის ხე ესრედ წოდებული ალლიგატორის ჯიშისა, და პატრონისათვის ხილის ამ წლის უკანასკნელ მოწევაზე მიუცია 16,030 ფრ. (7,000 მან.) მსხალი!

ეს ძვირფასი ხე ფერმერს დაზღვეული ჰქონია ცეცხლისა, სეტყვისა და ყინვის წინააღმდეგ 150,000 ფრანკში (60,000 მან.)

აი, რას ნიშნავს მაღალი კულტურის მეურნეობა.

### 227 წლის ღვინო.

გერმანიის პატარა ქალაქში გროსიენაში ერთი სასტუმროს ძველი შენობის დანგრევის დროს (შენობა 1688 წ. ყოფილა აგებული) უპოვიათ რამდენიმე ოთხკუთხიანი ბოთლი. ბოთლებს პლომბი გადაკრული პრობკებით ჰქონია თავი დაცული. ოთხი ბოთლის პლომბზე 1687 წლის დატა შეუნიშნავთ... როცა ერთი გაუხსნიათ შიგ მოშავო ფერის ღვინო აღმოუჩენიათ საუცხოვო კარგი გემოსი!..

ადგილის პატრონს დანარჩენი სამი გაუხსნელი 227 წლის ღვინით სავსე ბოთლი ნაუმბურგის მუზეუმისათვის შეუწირავს! (არა დასალევად, რასაკვირველია!)

## არეულობა სამხრეთ-აფრიკაში

(დეპეშ. პეტ რბ. საა ენტო)

3 იანვარი.

**იოგანსბურგი.** ახლო-მახლო მაღაროები დაიკეტა, სიმერჯეკის მაღაროების მუშები გაფიცვის წინააღმდეგნი არიან. სავაჭრო პალატის გარშემო პოლიციის რაზმები სდგას. პოლიციას აზრადა აქვს შეიპყროს გაფიცვის ხელმძღვანელნი. მუშათა ბელადი სელი, რომლის შეპყრობასაც ლამობს პოლიცია, პალატაში იმყოფება თვის დამცველებით. მათ საკმარისი წყალი და განათების მასალა აქვთ. პალატის შენობა ბარიკადებით არის დაცული. შენობაზე წითელი ბაირაღი ფრიალებს. პირველ იანვარს ხალხმა საპროტესტო დემონსტრაცია მოახდინა, მაგრამ პოლიციამ დემონსტრაცია დაშალა, დაჭრილია ორი კაცი. სამხედრო წესები ძალაში შევიდა.

**კაპშტადტი.** საერთო მდგომარეობას გაუმჯობესება ეტყობა. ზოგიერთი გაფიცული მუშაობას უბრუნდება.

**იოგანესბურგი.** ერთ ჟურნალისტმა მოახერხა ბარიკადებით დაცულ პალატაში შესვლა. გაფიცულები შეიარაღებულნი ყოფილან. მათ გადაუწყვეტიათ არ დაჰნებდნენ, მანამდე, ვიდრე უკანასკნელი იარაღს არ წაართმევენ. პალატაში მომწყვდეულნი მხოლოდ ნაყოფით იკვებებიან. სახე გამხდარი აქვთ პალატაში მომწყვდეულთ. ქალაქის მაღაროებში მუშაობა განახლდა.

**ბლოუმფონტენი.** ორანჟში სამხედრო წესები ფრიად მკაცრია.

## მცირე შენიშვნა

საეკლესიო მუზეუმში დაცულია ერთი რუსულად დაწერილი ბარათი —№ 800, რომელშიაც მარტო ეს სიტყვებია „ნუსხა ძველ გუჯრებისა, მცხეთის სობოროსი, რომელთა პირები სურს შეიძინოს აკადემიამ კატალოგით №№-ები 1, 3, 5, 12, 14, 20, 21, 27, 28, 34, 35, 36, 37, 38, 40, 54, 56, 57, 59, 75, 105, 106, 124, 130, 133, 164, 169, 185, 189, 193, 226, 221, 236, 243, 249, 250, 260, 286, 302, 311, 328, 330, 335, 337, 338, 339, 341, 348, 349, 352, 362, 365, 378, 414, 415, 429, 433, 453, 464, 475, 479, 482, 483, 484, 485, 491, 494, 495".

თუ მცხეთის წინამძღვარმა ან სხვამ ვინმემ იცის ამ გუჯრების ამბავი, აგრეთვე იმ კატალოგისა, რომელშიაც ყოფილა სია ამდენ, სჩანს, გამოსადეგ დოკუმენტებისა, იმედია, არ დაიზარებენ და გამოაქვეყნებენ. ეგების იმ კატალოგში სწერია, თუ რა შინაარსისა იყვნენ ეს გუჯრები ან და აკადემიას გაუგზავნეს მათი პირები თუ არა.

მ. ჯანაშვილი.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

3 იანვარი.

### უცხოეთი.

**ტეტინიე.** არჩევნებში მთავრობის ლიბერალებმა 46 მანდატი მიიღეს, კონსერვატორებმა—7, რადიკალებმა —9.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობით, სამთა კავშირის პასუხი ეგეის კუნძულთა საკითხზე გადაეცა გარეშე საქმეთა სამინისტროს.

**ტოკიო.** საკურაზიმაში ცეცხლის მფრქვეველი მთის ამოხეთქვა გრძელდება. ზარდაცემული მცხოვრებნი გარბიან.

**ლონდონი.** მცოდნე პირთა სიტყვით, სამთა კავშირის პასუხი არავითარ უთანხმოებას არ გამოიწვევს.

**ლისაბონი.** ჟანდარმერიის მატარებელი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთის ლიანდაგთა დასაცავად მიდიოდა, პრატოს ვერ გასცდა. ჩრდილო ლიანდაგის გაფიცულმა მოსამსახურეებმა ორთქლმავალი ლიანდაგიდან გადმოაგდეს.

ლისაბონის მახლობლად, ხელესში აფეთქდა თოფის წამლის ქარხანა, მოკლულია ერთი კაცი.

**ბერლინი.** ლანდტაგი. ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს შინაგან საქმეთა მინისტრმა პოლიციის პრეზიდენტის იაგოვის წერილის თაობაზე ცაბერნის ამბებზე სთქვა: თანამდებობის პირს არ შეშვენის პოლიტიკურ გაზეთში კრიტიკული წერილი უძღვნას იმ პროცესს, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა. რაც უფრო დიდია თანამდებობის პირიმით უფრო თავშეკავებულობა ჰმართებსო.

**სტოკჰოლმი.** რიკსდაგის სესიის სხდომები დაიწყო.

**მარმაროშ-სიგეტი.** ბრალდებულმა გიორგი კაბალიუკმა, ალექსის ძმამ თავი დამნაშავედ არ სცნო. მან განაცხადა: ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი ძმის მოქმედებას. ჩემი ძმა ჩემს სახელობაზე იწერდა „რუსკაია პრავდას", მაგრამ მე არ ვკითხულობდი. ჩემი ძმა ალექსი ძალას არ მატანდა მართლმადიდებლობა მიმეღო. დარბაზში შემოიყვანეს ალექსი კაბალიუკი. კაბალიუკმა თავი დამნაშავედ სცნო მხოლოდ მართლმადიდებლობის გავრცელებაში. უნიატთა სარწმუნოების წინააღმდეგ იგი ხალხს არ აქეზებდა. მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას ვოროზჩუკის მეოხებით გაეცნო, მას უნდოდა ბერად აღკვეცა. 1905 წელს გაიცნო ალექსი გეროვსკი; მისი რჩევით კაბალიუკმა ინახულა კიევი და მისი მონასტერ ეკლესიები.

**ვენა.** საბიუჯეტო კომისიის სხდომა ჩეხელთა ობსტრუქციის გამო დაიხურა.

**ბელგრადი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ესად-ფაშას რაზმმა სამი დღის იერიშის შემდეგ დაიპყრო პოგრადეცი, ოხრიდას ტბის მახლობლად.

**პოტსდამი.** იმპერატორი ეწვია კანცლერს; შემდეგ მოისმინა სამხედრო მინისტრის მოხსენება.

**პარიზი.** მემარცხენეთა ფედერაციამ თავმჯდომარედ ბრიანი აირჩია; მის ამხანაგად ბარტუ და მილიერანი.

დეპუტატთა პალატაში კაიომ მოხსენება წაიკითხა ფინანსთა მდგომარეობაზე.

**პეტერბურგი.** გეოლოგი აკადემიკოსი ჩერნიშევი უეცრივ გარდაიცვალა.

**პეტერბურგი.** ხელმწიფემ მიიღო მონღოლეთის პირველი მინისტრი საინოისანი.

საიმპერატორო სახალხო ბიბლიოთეკის ასი წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა სადღესასწაულო სხდომა, დაესწრნენ მინისტრები, სათათბიროსა და საბჭოს წევრნი, პროფესორები, აკადემიკოსები და სხვანი.

**პეტერბურგი. მომგებიან ბილეთების ტირაჟი.** 200,000 მან, 19,830, № 50. 75,000 მან. 8702/3. 40,000 მ. —2291/39. 25,000 მ.—5933/1. 10,000 —16575/34; 16,233/34; 13005/41. 8,000 მ. 1864/44; 16844/9; 3953/9; 18115/31; 550/39. 5,000 მ.—9009/43; 765/5; 18989/16; 3707/8; 19862/31; 16143/35; 14499/2; 14161/15. 1,000 მ.—3601/28, 3744/19; 8630/46; 10844/23; 2401/6; 2099/31; 5865/28; 2182/44; 15346/18; 5478/39; 7314/40; 13428/14; 17100/39; 1702/3; 6327/9; 12653/18; 7900/44; 16545/12; 6720/39; 14183/50.

## თეატრი და სცენხელოვნება

**ქართული თეატრი.** ქართული თეატრის დარსების მე-64 წლის თავს დრამატიული საზოგადოება დღესასწაულით შეხვდა. წარმოდგენის წინ ი. ბარათაშვილმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ჩვენი თეატრისა და დრამატიული მწერლობის განვითარების შესახებ. შემდეგ წარმოდგენილი იქნა „დავა", მეოთხე მოქმედება. პიესაში მონაწილეობას იღებდნენ ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია და კ. შეხი, რომელთა თამაშმა დიდად გაამხიარულა საზოგადოება. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მსახიობები ხშირად საკუთარს სიტყვებს ლაპარაკობდნენ და არა გ. ერისთავისას. ეს სრულებით არ ეკადრება ქართული სცენის მამამთავარს.

„დავას" მოჰყვა ი. გედევანიშვილის „სინათლე". ეს მეოთხედ ითამაშეს ეს პიესა და პირველ წარმოდგენასთან შედარებით სცენის მოწყობილობაც და მსახიობთა თამაშს წარმატება ეტყობა. სცენაზე მოძრაობა უფრო თავისუფალია, როლებიც უკეთესად აქვთ მოთამაშეებს. მუსიკაც უფრო შეჩვეულია. ზოგი ნაკლი მაინც კიდევ დარჩენილა: მეფისა და დედოფლის ამალას აკლია სიდარბაისლე. დედოფალს ნუ თუ მარტო ერთი ქალი უნდა ახლდეს? გვირგვინის პირით მოლაპარაკე გენიის ხმები ვერაა შეწყობილი რიგიანად. ფერიების ცეკვას რომ ქართული ელფერი ჰქონდეს, გაცილებით ემჯობინებოდა. საჭიროა, რომ უკანასკნელ სურათში ხოროსთან ორკესტრიც უკრავდეს მაშინ დიდების შთაბეჭდილება უფრო ძლიერი გამოვა.

თეატრი გაჭედილი იყო, ბევრი ფეხზე იდგა. „სინათლეს" დღეს მეხუთედ სდგამენ. უეჭველია, ხალხი ისე ეტანება ამ პიესას, რომ ხუთჯერ კიდევ დაიდგმება ამ სეზონში. ეს ფრიად საგულისხმიერო და სასიხარულო მოვლენაა. კარგს იზამდა დრამატიული საზოგადოება, რომ ამ დღესასწაულებზე „სინათლე" რამდენსამე დღეს ზედი-ზედ დადგა.

დღეს, ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება მეხუთეჯერ ახალი ორიგინალური პიესა ი. გედევანიშვილისა „სინათლე". ეს პირველი შემთხვევაა ქართული თეატრის ისტორიაში, რომ ისე მოკლე ხანში რომელიმე პიესის ოთხი სრული შემოსავალი მიეცეს.

გუშინ ფოტოგრაფმა გადაიღო პიესა „სინათლე"—შვიდი სურათი.

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში პროფესორი ვ. ნ. სპერანსკი საჯარო ლექციას წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „დედაკაცის ბედის-წერა".

**ბაქო.** 29 დეკემბერს დრამატიულმა სექციამ წარმოადგინა ორი მხიარული პიესა: „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწილეს" და „არივ-დარია". ორივე პიესამ სუსტად ჩაიარა, რადგან მოთამაშეებს მომზადება არ ეტყობოდათ. კარგები იყვნენ მხოლოდ ქ-ნნი ანდრონიკაშვილისა და ამირეჯიბი და ბ-ნნი აწყურელი და გვარამაძე.

კვირას, 6 იანვარს, წარმოდგენილი იქნება ოსტროვსკის პიესა „შემოსავლიანი ადგილი".

რედაქტორი ნ. ყურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.



## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

### ტფილისიდან გადის.

**ბაქოსაკენ:** № 6, ჩქარი პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, სამგზ.-საბარგო ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, ხაფოსტო საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, სამგზავ. საღ. 6 ს. 29 წ., № 106, ნარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადაზიდვა სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** № 3. სამფ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, საჩქარო პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, სამგზ. ღამის 10 ს. 30 წ., № 107. ნარევ. მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადაზიდ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, სამ. დილ. 8 ს. 3 წ. № 19, საქალაქო. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისაკენ:** სამფ. № 4/3, შუადღ. 12 ს. 10 წ.

**ყარსისკენ:** სამ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, საბარგ.-სამგზ. საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** № 3. სამფ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, საბარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7, სამგ. მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, საჩქარო—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადაზიდვა სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათუმიდან:** № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, სამგზ. საღ. 5 ს. 54 წ., № 4, სამფ. საღ. 9 ს. 16 წ., № 106, ნარევი ღამ. 2 ს 12 წ.

**ჯულფიდან** № 4/3 საფოსტო 7 საათსაქდა 23 წუთსა საღამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

## ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან

**მელიქოვისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 5ნ.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან თავის მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი; გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## ქალაქის ნავთსადგურის პირველი კერძო საავადმყოფო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით

„606" და „914"

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავახარიძე: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ავალიშვილი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ა. ბაბანახვილი: 10—11 ს. საბვეიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ბ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ბ. გ. ბეგთაბეგიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ბ. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, პარავშვთ და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბვეიო და ქალების ავადმყ.

საღამოთი:

8 გ. ბეგთაბეგიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

საავადმყოფოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავახარიძე. 1004

ექიმი გ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე.

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

## ფეხსაცმელები

იოსება დ. ჯანჯღავაშვილის მაღაზია სახელოსნოში

მუხრანის ქ. № 2.

მიღებულია ახალი ზამთრის სეზონის საქონელი ვარშავის და პეტერბურგის მექანიკური ნაწარმოებისა. ფასები საფაბრიკოა.



865

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლთვონის შესახვევი № 8, მიიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

საყმაწვილო წიგნები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ყვავილთა შორის, წ.-კ გამოც. ფასი | 45 კ. | ცხოველები და მცენარენი ცხელ ქვეყნებში, | . |
| მამის ერთგული, | 15 „ | | |
| სვიის გვირგვინი, | 15 „ | ახლად მიღებული სამეცნიერ. | |
| მტრედი, | 10 „ | Характеристики и воспоминанія, Г. М. Тумановъ, | . |
| მოთხრობანი, დ. კლდიაშვილისა, | 30 „ | | |
| საყმაწ. მოთხრობ., ე. გაბაშვილისა, | 30 „ | Новая лингвистическая теорі | |
| ბუს თავგადასავალი, | 20 „ | Меликсетъ-Бековъ, | . |
| ბუნების მოვლენანი, | 15 „ | Къ вопросу о настоящемъ имени, просвѣт. Грузіи, მისივე | |
| დონ-კიხოტი, | 25 „ | | |
| ხუმარა სპილოები, | 20 „ | ქება თამარ მეფისა, ს. კაკაბაძე, | . |
| კეთილი ძაღლი, | 20 „ | ქება დავით მეფისა, „ | . |
| სოფელი კურთხეულა, | 3 „ | ხონის საყდრის დავთარი „ | . |
| ცხოვრების გზა, | 2 „ | საცაიშლოს დავთარი, „ | . |
| მოთხრობათა კრებული, ნათ. ყიფ | 3 „ | დიდი ალექსანდრე მეფის თარიღი, | . |
| ოქროს ფული, | 2 „ | მცნება სარჯულო, | . |
| ცხოველების გამჭრიახობა, | 25 „ | მეფის კურთხევის წესი, | . |
| ლომ-კაცი, | 25 „ | საეკლესიო რეფორმებისთვის, | . |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз.

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ იუწყება, რომ 1914 წ. 8 იანვარს დანიშნული

## საჯარო ვაჭრობა

მოტოციკლებისა და ველოსიპედებზე გაწერილ ხარჯის აკრე

## იჯარით გასაცემად.

პირობების გაგება შეიძლება გამგეობის კანცელარიის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

## „ჯეჯილი"

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა-მეხუთე წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში ღირს 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნ 5 ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ჯეჯილის" რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5), ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ჭიათურაში—მასწ. ნიკ. წუწუნავასთან და ტყიბულში—რაჟდენ ნანეიშვილთან.

რედაქციაში იყიდება ცალკე წლების ჯეჯილები.

1914 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრად დაურიგდებათ დასურათებული წიგნი, მოთ

„კუნწულა".

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Ред. груз. дѣтскаго журн. „Джедж

1003 რედაქტ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლის

## ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსები ინჟინერ ვინოგრადოვისა,

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი.

განყოფილებანი: სამიწის-მზომლო და სასოფლო-სამეურნეო. ახლად ... ღებიან სამიწისმზომლო და საალმაშენებლო განყოფილებაში. კურს... მიიღებენ გამოუცდელად 1872 წ. წესდებით არსებულ სამოქალაქო სას... ლებებში კურს-დამთავრებულთ, ხოლო ამაზე დაბალის სწავლით აღ... ვილთ კი გამოსცდიან. მეცადინეობა დაიწყება 7 იანვარს, მოწაფეთა ... ღება—20 იანვრამდე. პირობებს ვგზავნით 4 შაურ-კაპეიკიან მარკის მ... გისათვის. კურსები მოთავსებულია სასულიერო სემინარიის ძველს ... ნობაში. პირადი მოლაპარაკებისათვის კურსების კანცელარია ღიაა ... ველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 8 ს.-დე. რადგანაც სამიწისმზ... ლო ტექნიკების დიდი მოთხოვნილებაა, ამ კურსების დამსრულებელ... თვის ადგილი უზრუნველყოფილია. 165

უფლებიანი სავაჭრო სკოლა და

## საბუღალტერო კურსები

იმ. ნ. ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა

სკოლაში მიღება დაიწყება 8 იანვრიდან დილის 8 სახ.—2 საათ... 15 იანვრიდან კურსების მეცადინეობა 1-ლ ჯგუფთან იწარმოებს 2 ნა... 5 საათამდე. მე-2 ჯგუფთან საღამოს 7 ნახ.—10 საათ. იქვე იყიდება სახ... მძღვანელონი ბუღალტერიის შესწავლა შეიძლება აგრეთვე მიწერ-მო... რითაც. მიხეილის ქ. სახლი № 17. 905.

## მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „ხმა კახეთისა"-ზე

წელიწადი მესამე

გაზეთის ფასი:

| ფოსტით გაგზავნა. | | სიღნაღში. | |
|---|---|---|---|
| 1 იანვრიდან წლის დამლევამდე | 4 მ. | 1 იანვრიდან წლის დამლევამდე | 3 მ. |
| ნახევარი წლით | 2 „ 25 კ. | ნახევარი წლით | 1 „ 80 კ. |
| ერთი თვით | — 50 „ | ერთი თვით | — 35 „ |

სოფლებში აგენტთან. ერთი წლ. 3 მ. 50 კ., ნახევარი წლ. 2 მ., ერთი თვით 35 კ. ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

მისამართი: ქ. სიღნაღი K. I. Ткавадзе.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვებში.

## მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

ძმ. ძმებელოვები.

ახალ-ახალი მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი

აგრეთვე იყიდება მაილოვის ხიზილალა

კოლოფით შიგა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოზი, იანი... შიპა, ზურგილები და სხვა ყოველ ნაირი თევზეულობა და კონსერვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.